„სოციალური სამუშაოს თავისებურებები ოჯახურ დავაში ჩართულ არასრულწლოვნებთან“

ნინო იობაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, MSW, PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო იობაშვილი 26.06.2019წ”.

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ოჯახურ დავებში ჩართულ არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საკითხები, როგორც საქართველოში, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ გამოწვევებისა და სირთულეების იდენტიფიცირება, რომელთა წინაშეც დგანან როგორც ოჯახურ დავაში ჩართული სპეციალისტები, ასევე პროცესის მონაწილე არასრულწლოვნები. ასევე კვლევის მიზანია იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელიც გავლენას ახდენს არასრულწლოვნების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და რაც თან ახლავს სოციალური მუშაობის პრაქტიკას ოჯახური დავის მხარეებთან მუშაობისას.

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან, პირველი ნაწილი თეორიული ხასიათისაა, რომელიც ლიტერატურის მიმოხილვას მოიცავს, წარმოდგენილია ოჯახურ დავებში ჩართულ არასრულწლოვანთან მუშაობის მიმართულებები და გამოცდილება, როგორც საქართველოში, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე. ოჯახურ დავებში ჩართული სპეციალისტების - სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის როლისა და თავისებურებების გააზრება;

კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კერძოდ სიღრმისეულ ინტერვიუს და სწორედ ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია სიღრმისეული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები და მათი ანალიზი; მესამე ნაწილში კი წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, ასევე, გამოყენებული ლიტერატურა.

კვლევა საინტერესო იქნება, იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაინტერესებულები არიან ოჯახურ დავაში ჩართულ არასრულწლოვნებთან მუშაობით, მათი სწორი განვითარების საკითხებით და აღნიშნული მიმართულების შედეგიანი წარმართვით.

Abstract

The following dissertation analyzes juvenile related issues being involved in family disputes in Georgia, as well as abroad. Study aims to identify challenges and difficulties specialists and juveniles might face while being involved in such disputes. Thee given study further aims to analyze factors which might have an influence on juveniles' psycho-emotional condition, which is normally related to social work practice while working on sides involved in family disputes. The dissertation is divided into three sections. The first section is more theoretical, which reviews existing literature on practice of juveniles' involvement in family disputes in Georgia and abroad.

This section also examines role of the social workers' and psychologists' involved in family disputes. Study solely relies on qualitative methods of social sciences, more precisely, in-depth interviews and the second section will introduce data retrieved from in-depth interviews and its results. The third and final section will include summary and recommendations and bibliography. The study should be especially interesting for people working on juveniles involved in family disputes and their development.

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე ყველა პირს. განსაკუთრებული მადლობა მოსამართლეებს და ფსიქოლოგებს კვლევის მიმართ მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისა და ნდობისათვის.

მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს გაწეული შრომისა და სასარგებლო რეკომენდაციებისთვის. მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებს, კოლეგებს და ჩემი ოჯახის წევრებს გვერდში დგომისა და ხელშეწყობისათვის.

აგრეთვე, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში არაერთი საგულისხმო რჩევა მომცა.